

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N6

ქ. ლანჩხუთი

18.12.2020 წ

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე**.

კომისიის წევრები: ოთარ პატიშვილი, ლელა ჩხვამე, კახა ბოლქვაძე, ცისანა ურუშაძე, სპარტაკ კვაჭაძე, ამირან ქანთარია, აკაკი იმნაიშვილი, ზაზა წულაძე, ბესიკ კუპრაძე, რეზო კვაჭაძე, ემზარ თევდორაძე, ვენე კვირკველია, კახა თედორაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ოსებ ჩხაიძე, ირაკლი მარშანიშვილი, ელისო ჭიჭინაძე.

მოწვეული სტუმარები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ლევან ჩხაიძე**.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი **რუსუდან გვარჯალაძე**, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე**.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გ. გვარჯალაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გ. გვარჯალაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გ. გვარჯალაძე/

4. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 14; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. აღნიშნა, რომ 2021 წლის მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება;
2. განათლება;
3. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
5. დასუფთავება და გარემოს დაცვა.
6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

აქვე აღნიშნა, რომ სამწუხაროდ დაზუსტებული არ არის 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩამონათვალი, რომელიც უნდა დაფინანსდეს სხვადასხვა ფონდებიდან, ამიტომ ამ მხრივ პრიორიტეტები დოკუმენტში მხოლოდ ზოგადააა წარმოდგენილი. ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩამონათვალის დაზუსტება ჩემი ინფორმაციით მოხდება მიმდინარე წლის ბოლომდე.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა გამოთქვა შემდეგი შენიშვნები: კომისია ითხოვს, რომ პრიორიტეტების დოკუმენტში აისახოს ერთი ერთეული გრეიდერის და ექსკავატორის შეძენის თანხები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;
მომხრე:14, წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი საკრებულოს კომისიის სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა საკრებულოს მიერ გამოთქმული შენიშვნები. გვაქვს სიახლე ვაპირებთ გავზარდოთ ხელფასები სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის იმ თანამშრომლებისა, რომლებსაც უშუალო შეხება აქვს ბავშვებთან, ანუ ადმინისტრაციაში დასაქმებულთა ხელფასების ზრდა არ იგეგმება, ისე როგორც არ იგეგმება ხელშეკრულებით დასაქმებულთა ხელფასების ზრდა. ასევე ვგეგმავთ დასუფთავების სამსახურისთვის შევიძინოთ ამწე კალათი. ციფრების მოტანით თავს არ შეგაწყენთ რადგან იგი უკვე განხილული იყო კომისიის წინა სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები 2021 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი საკრებულოს სხდომაზე გადაეცეს შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს;
მომხრე: 14, წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: კომისიის თავმჯდომარემ გიორგი გვარჯალაძემ კომისიას გააცნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს;
მომხრე: 14 წინააღმდეგი არცერთი.

4. სხვადასხვა.

დეპუტატმა ამირან ქაჩიარაძემ დააყენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა მადლების პრობლემის საკითხი და მისი გადაჭრის საკუთარი გზა.

დეპუტატმა ეზზარ თევდორაძემ დააყენა საკითხი, რომ ავანის მაცხოვრებელს მარიამ ჩხაიძის სახლი მეწყერის გააქტიურების გამო პრაქტიკულად საცხოვრებლად არ გამოდგება. გთხოვთ გაითვალისწინოს შერის შესახამისა სამსახურებმა და აღმოუჩინოს დაზარალებულს დახმარება.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სიერდით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: *გ. გვარჯალაძე*

გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 | anXuTi, kost avas 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N6

ქ. ლანჩხუთი

18.12.2020 წ.
15.00 საათი

2020 წლის 18 იანვარს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.
2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.
3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შენიშვნებით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შენიშვნების გარეშე გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შენიშვნების გარეშე გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: *გ. გვამყაყაძე* გიორგი გვამყაყაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის
სარეგისტრაციო ფურცელი

18.12.2020 წელი

15:00 საათზე

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	გიორგი გვარჯალაძე	15:00	გ. გვარჯალაძე
2.	ცისანა ურუშაძე	15:00	ც. ურუშაძე
3.	კახა ზოლქვაძე	15:00	კ. ზოლქვაძე
4.	ბესიკ კუპრაძე	15:00	ბ. კუპრაძე
5.	ოთარ პატიშვილი	15:00	ო. პატიშვილი
6.	სპარტაკ კვაჭაძე	15:00	ს. კვაჭაძე
7.	ლელა ჩხეიძე	15:00	ლ. ჩხეიძე
8.	ზაზა წულაძე	14:58	ზ. წულაძე
9.	რეზო კვაჭაძე	14:55	რ. კვაჭაძე
10.	კახა თედორაძე	14:55	კ. თედორაძე
11.	იოსებ ჩხაიძე	—	ი. ჩხაიძე
12.	ამირან ქანთარია	15:00	ამ. ქანთარია
13.	აკაკი იმნაიშვილი	—	აკ. იმნაიშვილი
14.	ელისო ჭიჭინაძე	—	ე. ჭიჭინაძე
15.	ირაკლი მარშანიშვილი	—	ირ. მარშანიშვილი
16.	ემზარ თედორაძე	15:00	ემ. თედორაძე
17.	ვენი კვირკველია	15:00	ვ. კვირკველია